წერილის ნომერი:**31-31263063**
თარიღი: **02/11/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თენგიზ ხუხუნაიშვილის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 28 ოქტომბერი; 2026 წელი; 15:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თენგო ხუხუნაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული-საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე სპარტაკ კვაჭაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს წევრი თენგიზ ხუხუნაიშვილი ანგარიშის წარდგენამდე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მათ მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს წევრმა წარმოადგინა 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. აღნიშნა, რომ არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი. ასევე, ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული“ საქართველოს წევრი.

საკრებულოს წევრმა, თენგიზ ხუხუნაიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდულ მიმართულებაზე და აღნიშნული საქმიანობის წარმოსაჩენად მოამზადა შესაბამისი პრეზენტაცია. მან ისაუბრა ახალგაზრდებთან შეხვედრის შესახებ და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში, საერთო ჯამში 11 შეხვედრა განახორციელა. შეხვედრები გაიმართა ახალგაზრდულ

სივრცეში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, კერძოდ: წყალწმინდაზე, ლესაში, აცანაში, აკეთში, შუხუთში, ჩოლობარგში, ნიგვზიანში, ნინოშვილსა და ლესაში. აღნიშნული ფორმატის ფარგლებში, მან ჯამში დაახლოებით 500 ახალგაზრდასთან გამართა შეხვედრა, რომლის მიზანს ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო პროექტების გაცნობა წარმოადგენდა. ამასთანავე, ახალგაზრდებს მიეწოდათ ინფორმაცია ახალგაზრდობის სააგენტოს გაცვლითი პროგრამების, საგრანტო პროექტებისა და სხვადასხვა ახალგაზრდული ბანაკის შესახებ. საკრებულოს წევრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მიმდინარე წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან 90 ახალგაზრდა გაემგზავრა ბანაკებში. აღნიშნული შეხვედრების ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი ახალგაზრდების პრობლემების მოსმენა, მათი საჭიროებების გაცნობა, მათ მიერ წარმოდგენილი იდეებისა და ინიციატივების განხილვა იყო. მისივე თქმით, შეხვედრები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს არ ატარებდა. ახალგაზრდების მიერ გაჟღერებული პრობლემები მიეწოდათ შესაბამის პირებს, რის შედეგადაც ამ ეტაპზე პრობლემების 80% უკვე მოგვარებულია. ის საკითხები, რომელთა გადაჭრაც მუნიციპალიტეტის არსებული რესურსით იყო შესაძლებელი უკვე მოგვარდა, ხოლო დანარჩენი პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს.

საკრებულოს წევრმა ისაუბრა ახალგაზრდების ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერის პროგრამის შესახებ და ყურადღება გაამახვილა ლესის ადმინისტრაციული ერთეულის მაგალითზე, სადაც ახალგაზრდებს ჰქონდათ სურვილი და ინიციატივა, ჩატარებულიყო ფილმების ჩვენებები და ფეხბურთის ტურნირები. მისი თქმით, ახალგაზრდების ინიციატივას შესაბამისი რეაგირება მოჰყვა. ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალგაზრდების ჩართულობით, უკვე ორჯერ გაიმართა ფილმის ჩვენება. ამასთანავე, ახალგაზრდების სპორტული აქტივობა ბოლო ორი წლის განმავლობაში ხორციელდება და მათ ფეხბურთის ტურნირების ორგანიზებაშიც ეხმარებიან. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეშიც დაგეგმილია მორიგი საფეხბურთო ტურნირის ჩატარება. მან ასევე ისაუბრა ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობისა და მემორანდუმის მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის სააგენტო ერთერთი მნიშვნელოვანი და ძლიერი სტრუქტურაა, რომელიც საქართველოს მასშტაბით მათ განვითარებასა და გაძლიერებაზე მუშაობს. აღნიშნულ პროცესში, მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, ის აქტიურად იყო ჩართული და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნაში. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქართველოს 64 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 12 ახალგაზრდული სივრცე შეირჩა, რომელთა შორის ერთ-ერთი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტია. აღნიშნული ინიციატივების ფარგლებში სახელმწიფო უწყებები და კერძო ორგანიზაციები ახალგაზრდებისთვის სრულიად უსასყიდლოდ ატარებენ ტრენინგებს, რაც მათ პიროვნული და პროფესიული განვითარების, ახალი ცოდნის მიღებისა და მომავალი შესაძლებლობების უკეთ გამოყენების საშუალებას აძლევს. ასევე, ისაუბრა ახალგაზრდულ სივრცეში უკვე ჩატარებული ტრენინგებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ, მათ შორის იყო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს GiTA-ს პროექტი- ,,მოგზაურობა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სამყაროში. ახალგაზრდულ სივრცეში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ტრენინგი ,, ლურჯი მე“ და ,,რესტარტი“. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში ახალგაზრდებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობასა და მისი პოპულარიზაციის საკითხებზე ესაუბრნენ. საკრებულოს წევრმა ყურადღება გაამახვილა დამოუკიდებელი სამეცნიერო ორგანიზაციის-საერთაშორისო პოლიტიკის, კვლევის, პროგნოზირების ცენტრისა და ციფრული მმართველობის სააგენტოს ჩართულობით ჩატარებულ ტრენინგზე. აღნიშნული მიმართულებით, ჯამში 350 ახალგაზრდა გადამზადდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზრდული სივრცის არსებობა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რადგან ნებისმიერ დაინტერესებულ ახალგაზრდას შეუძლია მივიდეს აღნიშნულ სივრცეში და სრულიად უსასყიდლოდ მიიღოს დამატებითი ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით. მისი განმარტებით, ძლიერი ახალგაზრდობა, ძლიერი მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ფესტივალის შესახებ და აღნიშნა, რომ თავდაპირველად დაგეგმილი იყო ორი ფესტივალის ჩატარება-ერთი ლანჩხუთში, მეორე გრიგოლეთში. თუმცა არასასურველი ამინდის პირობების გამო, გრიგოლეთში დაგეგმილი ღონისძიების ლანჩხუთში გადმოტანა გახდა საჭირო. ფესტივალში ჯამში, დაახლოებით 800-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ ფოტოგამოფენა, გაცნობოდნენ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვას, მოესმინათ ახალგაზრდული ბენდების კონცერტისთვის. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ახალგაზრდული ფესტივალის ჩატარების იდეა თავად ახალგაზრდებისგან წამოვიდა. მისი განმარტებით, ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალგაზრდებთან გამართული შეხვედრების დროს მათ გამოთქვეს სურვილი, მუნიციპალიტეტში მსგავსი ღონისძიებები ჩატარებულიყო. მან აღნიშნა, რომ ახალგაზრდულ ფესტივალზე წარმოდგენილი იყვნენ ადგილობრივი მუსიკალური ბენდები. მუნიციპალიტეტი

აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, რათა მომავალში კიდევ უფრო მეტი ადგილობრივი ბენდი ჩამოყალიბდეს. ასევე ისაუბრა პროექტზე ,,წარმატების გზა ლანჩხუთიდან“, რომლის განხორციელებაც მიმდინარე წელს დაიწყო. პროექტის მიზანია, მუნიციპალიტეტიდან წასული სხვადასხვა უნივერსიტეტში მაღალი აკადემიური მოსწრებით გამორჩეული ახალგაზრდების მოწვევა, მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის. მოწვეული ახალგაზრდები მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ სივრცეში სხვადასხვა მიმართულებით სრულიად უსასყიდლოდ ჩაატარებენ ტრენინგს, რაც ადგილობრივ ახალგაზრდებს ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას მისცემს. მან პროექტის მნიშვნელობის წარმოსაჩენად მაგალითისთვის მოიყვანა ქალბატონი მარიამ მარშანიშვილი, რომელმაც ახალგაზრდულ სივრცეში ხუთი ტრენინგი ჩაატარა და ისინი გადაამზადა. ამასთანავე, მან მე-8, მე-10, მე-11 და მე-12 კლასელებს, რომლებიც პროფესიის არჩევის ეტაპზე არიან, გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და პროფესიული განვითარების გზაზე არსებული გამოწვევები. მისი თქმით, ეს იყო ძალიან კარგი პროექტი, რომელშიც ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა. აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს შეხვდნენ ნანა ფირცხალაიშვილი, რომელმაც მათ ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მისი პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე ესაუბრა და მედეა ბარამიძე, რომელმაც ახალგაზრდებს 3D-ში გამოსახულებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ამ მიმართულებით მათ ცოდნა გაუღრმავა.

საკრებულოს წევრმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მემორანდუმის ფარგლებში 2027 წლის ბოლომდე, ახალგაზრდულ სივრცეში ტრენინგები და საგანმანათლებლო აქტივობები გაგრძელდება. ამასთანავე აღნიშნა, რომ აქტიურად იყო ჩართული საგრანტო პროექტის მომზადებაში, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა წარმატებით მოიპოვა. პროექტის ფარგლებში ნოემბრიდან, ახალგაზრდული საბჭოს 20 წევრი სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდება, რომლებიც მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებს გაუზიარებენ. აღნიშნული პროექტის საგრანტო დაფინანსება 10 000 ლარს შეადგენს. მან ასევე ისაუბრა პროექტის ,,შეხვედრა მოძღვართან“ შესახებ და განმარტა, რომ ინიციატივა უკვე ორი წელია ხორციელდება და მომავალშიც გაგრძელდება. პროექტი ახალგაზრდებში დიდი ინტერესით სარგებლობს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, რომ მოძღვარს როგორც ღია, ისე ანონიმური ფორმით დაუსვან მათთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული კითხვები.

საკრებულოს წევრმა ასევე ისაუბრა სპორტული მიმართულებით განხორციელებულ სიახლეებზე. ყურადღება გაამახვილა ლანჩხუთის საჭადრაკო კლუბისთვის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ გადაცემულ თანამედროვე საჭადრაკო ინვენტარსა და ,,სუპერ რობოტზე“. მისი განმარტებით, აღნიშნული ინვენტარისა და რობოტის მიღება მოლაპარაკებების შედეგად გახდა შესაძლებელი. თანამედროვე ტექნოლოგიები ახალგაზრდებს შესაძლებლობას მისცემს ცოდნის გაღრმავებაში და პროფესიულ წინსვლის განვითარებაში. ასევე აღნიშნა, რომ თანამედროვე ,,სუპერ რობოტი“ საქართველოს მუნიციპალიტეტების მხოლოდ მცირე ნაწილშია ხელმისაწვდომი, რომელთა შორისაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მან ასევე ისაუბრა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის შესახებ, რომელიც მუნიციპალიტეტში უკვე 4 წელია ტარდება. მისი თქმით, ტურნირში მონაწილეებისა და ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. გასულ პერიოდში რაოდენობამ 800-ს მიაღწია. ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, რათა მომავალში ვიზიტორთა რაოდენობამ 1000-ს მიაღწიოს. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას. მან ასევე სპორტული მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ჩატარდა ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ქართული ჭიდაობისა და მკლავჭიდის ტურნირები. მან ხაზი გაუსვა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ისაუბრა საკრებულოს საქმიანობაში აქტიური ჩართულობის შესახებ. მისი თქმით, იგი ესწრება საკრებულოსა და რიგგარეშე სხდომებს, მონაწილეობს კომიტეტების მუშაობაში, როგორც საკრებულოს წევრი, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში.

ასევე აქტიურად სტუმრობს საბავშვო ბაღებსა და სკოლებს, მართავს შეხვედრებს მოსახლეობასთან. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მის მიერ ინიცირებულ პროექტზე- ,,ლანჩხუთის საუკეთესო მოხალისე“. ინიციატივის მიზანია, ერთი წლის განმავლობაში გამოავლინოს და წაახალისოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც საზოგადოებრივ საქმიანობაში უსასყიდლოდ მონაწილეობენ. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს მოხალისეობრივი საქმიანობის დაფასებას და სხვა ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოტივაციის გაზრდის ჩართულობას. საკრებულოს წევრმა ისაუბრა მიმდინარე პროექტზე, რომელშიც ლანჩხუთის მერიის ახალგაზრდული საბჭოს წევრები არიან ჩართულნი. მისი ინფორმაციით, საბჭოს წევრების მიერ გადაღებულ ვიდეოებს ჯამში 4 მილიონზე მეტი ნახვა აქვს, რაც ხელს უწყობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას და პოპულარიზაციას. ასევე ისაუბრა ახალ ინიციატივაზე, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ტურისტული ლოკაციების გამოვლენა, გადაღება და

პოპულარიზაცია. მისი განმარტებით, ხშირად ადგილობრივმა მოსახლეობამაც კი არ იცის, რამდენი საინტერესო და ტურისტული ადგილია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში. სწორედ ამიტომ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში ჩასვლა, ტურისტული ადგილების გაცნობა და მათი ვიდეომასალების საშუალებით საზოგადოებისათვის გაზიარება. ასევე აღნიშნა, რომ ახალგაზრდებთან შეხვედრების პარარელურად, ის აქტიურად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც მათ მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ აწვდის ინფორმაციას. ისაუბრა ახალგაზრდული სივრცის განვითარებაზე და აღნიშნა, რომ 2025 წელს მის მიერ მოპოვებული გრანტის ფარგლებში ახალგაზრდული სივრცე საჭირო ინვენტარით აღიჭურვა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, დამატებით მოიპოვეს 30 000-ლარიანი გრანტი, რომლის განხორციელებაც მომავალი წლისთვის იგეგმება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ინვენტარის შეძენა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სივრცის შესაძლებლობების გაფართოებას და მასში კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდის ჩართვას.

შეხვედრის დასასრულს, საკრებულოს წევრმა თენგიზ ხუხუნაიშვილმა მადლობა გადაუხადა მოქალაქეებს თანადგომისთვის, საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის და დაჰპირდა, რომ აქტიურ მუშაობას გააგრძელებს იმისათვის, რათა მომდევნო წლები უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იყოს.

პატივისცემით,

თენგიზ ხუხუნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი